



Ministry of Foreign Affairs  
of the Czech Republic



შესაძლებლობების

შექმნა



# შესაძლებლობების შექმნა

საინტერესო იდეებით გამორჩეული ადამიანებისთვის შესაძლებლობების შექმნა ერთ -ერთი ძირითადი წინაპირობაა თემში ცვლილებების მოხდენისთვის. საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში მუშაობის შედეგად, ქვესაერთაშორისო კავკასიაში (CIC) მივიდა იმ დასკვნამდე, რომ წარმატებული და მდგრადი განვითარების მოდელი დამოკიდებულია ადგილობრივი სოციალურ მეწარმეობის წახალისებაზე, რომელიც ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური იდეების გენერატორია და მიმართულია იმ სოციალურ უთანასწორობის წინააღმდეგ, რაც ადამიანთა გარიყვის, მარგინალიზაციისა და ტანჯვის მიზეზია.

ქვემოთ მოცემული ისტორიები მოპოვებულია ქვეს პროექტის - „საქართველოში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისათვის დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა“, ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ჩეხეთის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.

სოციალური საწარმოების პროგრამა განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა იმ თვალსაზრისით, რომ მან ხელი შეუწყო განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ქალებს, გამხდარიყვნენ თემის აქტიური წევრები და მაგალითი მიეცათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სხვა ქალებისათვის.

ქვე ამაცობს ამ ქალბატონებთან თანამშრომლობით და მოგიწოდებთ მხარი დაუჭიროთ ამ ინიციატივას.

შესაძლებლობების შექმნა

შესაძლებლობების შექმნა

შესაძლებლობების შექმნა

### #პიტხვა № 1 როგორ აძლიერებს სოციალური სანარმოები განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ქალებს?

ქვას მიანიჭა, რომ ადამიანებს აქვთ იდეები და პოტენციური საკუთარი და სხვა ადამიანების ცხოვრების შესაცვლელად, მაგრამ აკლიათ უნარები და რესურსები ამის გასაკეთებლად. სოციალური სანარმოები განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ქალებს აძლევს საშუალებას, ჰქონდეთ სტაბილური შემოსავალი და გაიუმჯობესონ საარსებო საშუალებები. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ქალებს მოეთხოვებათ რიგი სასწავლო კურსების გავლა, რომლებიც მიზნად ისახავს, აამაღლოს მათი ცოდნა საკუთარი უფლებების შესახებ, ასევე ბიზნესის დაგეგმვისა და ტექნიკური უნარები. პროექტი ყურადღებას ამახვილებს არა მარტო დასაქმების შესაძლებლობების შექმნაზე განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ქალებისთვის და მათ ეკონომიკურ გაძლიერებაზე, არამედ ამ ქალების სოციალურ ინტეგრაციაზეც. სოციალური სანარმოები არა მხოლოდ შემოსავლის მოპოვების საშუალებაა, არამედ იგი ქალებს აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ურთიერთობა ჰქონდეთ განსაკუთრებული საჭიროების მქონე სხვა ქალებთან და ჩამოყალიბონ თემი.

### #პიტხვა № 2 რატომ ამახვილებს ქაა ყურადღებას მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ქალებზე?

განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ქალები ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი ჯგუფია საქართველოში სოფლად. მათ მიმართ მოქმედებს სტერეოტიპები, სტიგმა და იზოლაცია, სიღარიბე, მათ ხელი არ მიუწვდებათ ხარისხიან განათლებასა და ჯანდაცვაზე, დასაქმების შესაძლებლობებზე, არ არსებობს მათთვის ადაპტირებული ფიზიკური და სოციალური გარემო, ხელი არ მიუწვდებათ სხვადასხვა სახის მომსახურებაზე და ა.შ. ისინი ხშირად არ ღებულობენ შესაფერის დახმარებას ან ზოგჯერ საერთოდ არავითარი დახმარება არ ეწვეათ და სახლს არიან მიჯაჭვულები. ყოველივე ეს მათ უჩინარს და გარიყულს ხდის. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ქალთა თემი სამიზნე ადგილებში ძალიან სუსტია. უპატივცემულობისა და უარყოფის წლებმა ზემოქმედება მოახდინა მათ ხასიათზე და მოტივაციაზე, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამის გამო განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ქალები არ არიან ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მამაკაცებთან შედარებით უფრო გარიყულები არიან.

### #პიტხვა № 3 რას წარმოადგენს სოციალური სანარმო?

სოციალური სანარმო კომერციულად სიცოცხლისუნარიანი სანარმოა, რომელსაც აკისრია სოციალური მისია ან რომლის წყალობით წარმოიქმნება სოციალური ცვლილება, რაც მისი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. ეს ხდება მოწყვლადი ჯგუფისთვის დასაქმების შესაძლებლობების შექმნით, საქონლის ან მომსახურებების შესყიდვით იმ ადამიანებისგან, რომლებიც მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან, იმგვარი საქონლის ან მომსახურების უზრუნველყოფით, რომელთა მიზანია მოწყვლადი ჯგუფების განვითარებასთან დაკავშირებული კონკრეტული სარგებლობის მოტანა. ამ თვალსაზრისით ქვას საქმიანობა ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის ისეთი სანარმოების შექმნისა და სტიმულირებისთვის, რომლებსაც გრძელვადიანი მიზანი ამოძრავებთ და პროექტის დასრულების შემდეგაც აგრძელებენ თავიანთ საქმიანობას. სოციალური სანარმოები ძალიან სასარგებლო როლს ასრულებენ, ვინაიდან ისინი აუმჯობესებენ ადამიანების საარსებო წყაროების მოპოვების შესაძლებლობებს და ხელს უწყობენ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას თემებში.

### #პიტხვა № 4 როგორია ქაას მიდგომა სოციალური სანარმოების მიმართ?

ქვას მიდგომა სოციალური სანარმოების მიმართ წლების განმავლობაში სამხრეთ კავკასიაში მისი დონორებთან, კერძო სექტორთან და მთავრობასთან მუშაობის შედეგად ჩამოყალიბდა. ძირითადი პრინციპია ადამიანების მხრიდან წამოსული იდეების შერჩევა, ამ იდეების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის შესწავლა და ადამიანებისთვის შესაძლებლობის მიცემა და ხელშეწყობა, გახდნენ მენარმეები. სოციალური სანარმო უნდა ემყარებოდეს ბიზნეს-წინადადებას, მათ შორის ბაზრის კვლევას, და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული მისი ეკონომიკური და სოციალური გავლენა.

**4** პიტხვა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ქალებისათვის ქვას სოციალური სანარმოების მოდელის შესახებ



# ახალი შესაძლებლობები ქლევს მძიმე მოგონებებს მაყვალას ისტორია

წარმოიდგინეთ, რომ ღამით უცნობი ადამიანი მოდის და გეუბნებათ: „გაიქეცი“! „ყველაფერი დავტოვეთ და ღამე გამოვიქეციოთ სახლიდან მხოლოდ იმით, რაც გვეცვა, არაფერი წამოგვიღია. საერთოდ არაფერი. გამოვიქეცი და ორ დღეში დავბრუნდები-მეთქი, ვფიქრობდი“.

მას შემდეგ 25 წელი გავიდა და მაყვალას თავისი სახლი აღარ უნახავს. მაყვალა აფხაზეთის ომს გამოექცა და ქ. სენაკში აღმოჩნდა, დასავლეთ საქართველოს პატარა ქალაქში. მისი ცხოვრება გასულ წელს კიდევ ერთხელ შეიცვალა, როდესაც რამდენიმე წლიანი უმუშევრობის, სტრესის და გამწვავებული დიაბეტის შემდეგ მუშაობა დაფინის მწარმოებელ საწარმო „აგროკოლხიდა“-ში დაიწყო. ახლა მაყვალას თავისი შემოსავლით წამლების და უკეთესი საკვების ყიდვა შეუძლია, თუმცა ყველაზე მეტად სახლიდან გამოსვლა დაეხმარა დეპრესიისა და სტრესის დაძლევაში, რომლებსაც ამ წლების მანძილზე ებრძოდა.

მაყვალა მეუღლესთან ერთად სენაკში, სამხედრო დასახლებაში ცხოვრობს, იქ, სადაც პირველად დადგა ფეხი აფხაზეთიდან გადმოსვლის შემდეგ. ახლაც ხშირად იხსენებს დევნილობის პირველ წლებს: „ჯერ ვფიქრობდით, რომ უბრალოდ გადავრჩენილიყავით და ცოცხლები

გამოვსულიყავით, ჩემი მეუღლე იქ დაიჭრა და გვიან გამოვიყვანეთ. არასდროს დამავიწყდება ერთი მომენტი, როცა ჩემი გოგონა მთხოვდა, რამე მაჭამეო. გარეთ გავედი და დავინახე, ჩემს მეზობლებს ძველი ტაფა ეპოვათ და სიმინდის ფქვილისგან აცხობდნენ რაღაცას. ძლივს მოვიდა ჩემი რიგი, წამოვიღე და როცა ბავშვს მივუტანე, მითხრა, უკვე ვეღარ გადავყლაპავო“.

ახალ რეალობასთან შეგუება ძნელი იყო, სტრესთან ერთად დიაბეტიც აწუხებდა, რომელიც დროთა განმავლობაში გაუარესდა. რამდენიმე წლის წინ მაყვალამ სამსახური დაკარგა და იძულებული იყო უმეტესად დრო შინ გაეტარებინა. მისი ორივე გოგონა ამ დროს სახლიდან იყო გადასული და მაყვალას მარტო უწევდა გამკლავება უფულობასთან. ფინანსური პრობლემები დამძიმდა, როდესაც მისმა მეუღლემაც დაკარგა სამსახური. მაყვალა უკვე ვეღარ სწვდებოდა ძვირადღირებული წამლების შეძენას, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა მიიღოს. ასეთ მდგომარეობაში მისთვის რაიმე საქმის წამოწყებაც ძნელი იქნებოდა.

როდესაც სენაკში სოციალური საწარმო „აგროკოლხიდა“ გამოჩნდა, მაყვალამ სცადა მუშაობის დაწყება და წარმატებითაც. ჯანმრთელობის პრობლემების მიუხედავად, საქმეში აქტიურად და ენთუზიაზმით ჩაერთო: „გამიხარდა, რომ დამიძახეს, არც ერთი ტრენინგი არ გამიცდენია, ყველა გავიცანი, სიტუაციასაც მივჭვრე და არც მინდა სადმე წასვლა“.

გაზრდილმა შემოსავალმა მაყვალას ოჯახში მეტი თავისუფლება შეიტანა და საშუალება მისცა, უკეთესად მოეველო თავისი მდგომარეობისთვის. ფინანსური

პრობლემები სენაკში ძალიან ხშირია და ყველას თანაბრად აწუხებს, თუმცა სამედიცინო პრობლემების მქონე ადამიანებისთვის დამატებით სიმძნელეს წარმოადგენს. მაყვალა ერთ შემთხვევას იხსენებს: „ჩვენს დასახლებაში ერთი ღარიბი ქალი ნაყინს ყიდდა. ბავშვები უკან დასდევდნენ და მშობლებს სთხოვდნენ ნაყინის ყიდვას. ერთხელ მშობლები გამოუდგნენ საწყალ ქალს და ცემით გააგდეს, რადგან შვილებისთვის ნაყინის ყიდვაც არ შეეძლოთ. ამ ქალმაც რა უნდა ქნას, სხვას ვერაფერს აკეთებს. ასეთ შემთხვევებს ხშირად ვხვდავ და ხანდახან ტირილი მინდება“.

„აგროკოლხიდა“ მაყვალას გარდა, ბევრ ისეთ ქალს მისცა იმედი, რომლებსაც ოჯახების რჩენა უწევთ. მაყვალა ფიქრობს, რომ „აგროკოლხიდა“ მსგავსი საწარმოები აუცილებელია ხალხის დასაქმებისთვის, რადგან ბევრს, განსაკუთრებით კი სენაკში მცხოვრებ დევნილებს, ერთმანეთის მსგავსი რთული ისტორიები აქვთ. „აგროკოლხიდა“ ერთ-ერთია იმ სოციალურ საწარმოთა შორის, რომლებიც ასეთი ადამიანებისთვის შეიქმნა - ადამიანებისთვის, რომლებიც დღეს გარიყულები არიან, თუმცა საკუთარი შესაძლებლობებით ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლის დიდი უნარი გააჩნიათ.

საბედნიეროდ, მაყვალა, ხელფასის წყალობით, აღარავისზეა დამოკიდებული. შეუძლია წამლებიც შეიძინოს და მცირე თანხა ოჯახისთვისაც გადაინახოს:

**„რა თქმა უნდა, რაიმე განსაკუთრებული არ მჭირდება, მაგრამ რაც მინდა, იმის ყიდვა შემიძლია, წამლებიც შემიძლია ვიყიდო, რადგან ამაზე ვარ დამოკიდებული. ეს სამსახური ჩემი იმედია“.**

# შეუპოვრობა იმარჯვებს დარეჯანის ისტორია



დარეჯანი დილის 6 საათზე დგება და ყველაფერს ასწრებს - საყიდლებს, სამინაო საქმეებს, შემდეგ კი სამტრედიაში მდებარე სამკერვალო საწარმო „გვირილაში“ მიდის ცოტა ადრე, რომ აქ მომუშავე ქალებისთვის საკერავი საქმე წინასწარ მოამზადოს.

წინ აქტიური და დამღლეი დღე ელოდება, მაგრამ დარეჯანი ასეთ რიტმს მიჩვეულია - ცხოვრებას ისეთად იღებს, როგორც არის, და არასოდეს ნებდება.

დარეჯანის დროის უმეტესი ნაწილი განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებს ეთმობა. გასაკვირი არ არის, რომ საწარმო „გვირილას“ ლიდერია და სამტრედიაში განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა გაერთიანების თავმჯდომარეც. 1990-იან წლებში დარეჯანმა თავისი საწარმოც გახსნა - შეისყიდა საქსოვი მანქანები განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების მშობლების ან დაავადებული ქალების დასაქმებისთვის. მანქანები ომის დროს დაუნგრეს. არაფერი გადარჩენილა. მწარე გამოცდილებამ დარეჯანს ბრძოლა ასწავლა. ის სიტყვები, რომლითაც ქალებს ახლა ამხნევენ, თავისი გამოცდილებიდან გამომდინარეობს და გაფიქრებინებს, რომ შეზღუდული უნარები სინამდვილეში დაბრკოლებას საერთოდ არ წარმოადგენს.

## „ბავშვობიდან ვიბრძვი“

დარეჯანი თავადაც განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვი იყო. არც სმენა ჰქონდა და ვერც ლაპარაკობდა, სიარულიც უჭირდა. არავის სჯეროდა, თუ

რომელიმე უნარი ოდესმე აღმოაჩნდებოდა, თავად დარეჯანის გარდა. მკურნალობდა, მუშაობდა და ცდილობდა, ოცნებები აეხდინა. „მე-8 კლასიდან სალამოს სკოლაში გადავედი და კერვის კურსებზე შევედი. როდესაც 19 წლის გავხდი, ცალკე გადავედი საცხოვრებლად. მუშაობა დავიწყე და ბინა ვიქირავე. სულ ვცდილობდი, დამოუკიდებლად მეცხოვრა“.

დარეჯანი ამბობს, რომ მის დამოუკიდებელ ადამიანად ჩამოყალიბებაში ოჯახის მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: „ჩემს მშობლებს არასოდეს უთქვამთ - შენ იქ არ წახვიდე, არ გესმის, ვერ ლაპარაკობ“. ამან გააძლიერა და მისცა შესაძლებლობა, მომავალში უფრო ადვილად გადაეღებინა დაბრკოლებები. „იყო დაცინვაც და გარიყვაც. რაღაც მომენტში ჩავიკეტე, რადგან კარგად არ შემეძლო სიარული, მაგრამ შემდეგ გადავწყვიტე, ყურადღება არ მიმექცია“. ახლა დარეჯანი მსგავსი პრობლემების მქონე სხვა ადამიანებსაც ასე ამხნევენს.

## „მე რომ მაქვს გამოცდილება ჩემი ცხოვრებიდან გამოვძინარა, სხვისთვისაც მიწა იგივე“

დარეჯანი არ დანებებულა, როდესაც მის შვილიშვილს სიარულის პრობლემა აღმოაჩნდა. ბინაც კი გაყიდა, რომ სამედიცინო დახმარება აღმოეჩინა მისთვის. „ექიმები მეუბნებოდნენ, არაფერი გამოვაო, მაგრამ მე ვცდილობდი, ხელით დამყავდა სკოლაში, განათლება მივალბინე, ახლა ყველაფერს დამოუკიდებლად აკეთებს“.



დარეჯანი ბევრს დაეხმარა ნორმალური ცხოვრების დაწყებაში, ერთი შეხედვით უიმედო მდგომარეობაში მყოფებსაც. იხსენებს: „ერთხელ ორი გოგონა მყავდა ფსიქიკური პრობლემებით, რომლებსაც კრვა და ქსოვა ვასწავლე. ძალიან შეიცვალენ, ახლა ორივეს ოჯახები ჰყავთ და ბედნიერად ცხოვრობენ“. როდესაც დარეჯანმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გაერთიანება დააარსა, მისი ორგანიზაცია სწორედ ასეთ უიმედო ადამიანებს აღმოუჩენდა ხოლმე დახმარებას: „ვიცი ადამიანები, რომელთაც სიცოცხლე ჩვენი გაერთიანების წყალობით შეუწარმოებდათ, რადგან ოპერაციების გაკეთებაში დავეხმარეთ“.

ადამიანები ახლაც ხშირად აკითხავენ დარეჯანს ფსიქოლოგიური დახმარებისთვის, როგორც, მაგალითად, ეს ახალგაზრდა: „ხშირად მოდის და მიყვება თავისი შიშების და ემოციების შესახებ. ვამშვიდებ და ვეუბნები, რომ ეს მხოლოდ მის გონებაშია. მასაც ესმის“. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ერთადერთი რჩევა, რაც დარეჯანს გააჩნია, არის: „იაქტიურეთ, გამოდით სახლიდან და არ დანებდეთ“. ვინ, თუ არა დარეჯანმა, იცის, რომ ადამიანებთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია და ყველას მოუწოდებს, დაეხმარონ ასეთ ადამიანებს ცხოვრების შეცვლაში.

**„დაწყება ყოველთვის ძნელია, მარამ ერთხელ დაწყებულს ბოლომდე უნდა მიჰყვები“**

„გვირილა“, მცირე საწარმო, რომელიც განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ქალთა პროგრამის წყალობით დაფინანსდა, დარეჯანის ცხოვრებაში ახალი ეტაპია. საწარმოს დაფინანსების შემდეგ კიდევ ერთი შანსი მიეცა, რომ ქალებს ცხოვრების გაუმჯობესებაში დახმარებოდა. ის ქალების დამხმარე, დამრიგებელი და მეგობარია. დარეჯანის ენერჯია ქალებს მუშაობის მოტივაციას უქმნის.

"გვირილამ" დარეჯანსაც ბევრი ახალი შესძინა: „ვისწავლე თარგის გამოჭრა, რაც ადრე არ ვიცოდი. სტანდარტიზებული სამუშაო ძალიან განსხვავდება იმისგან, რასაც ადრე ვაკეთებდი“. აქ მოსვლით დარეჯანი არა მარტო სხვებს, არამედ საკუთარ თავსაც ამხნევეს, რომ არასოდეს შეწყვიტო მოქმედება, რადგან, რომ გავჩერდე, ავად გავხდებიო, ამბობს თვითონ.

დარეჯანი ბედნიერია, რომ „გვირილაში“ საკუთარი გამოცდილების გამოყენება შეუძლია. ქალები სწრაფად სწავლობენ და ისიც ამაყობს. შედეგი დადებითობასაც ავიწყებს და ახალ დღეს „გვირილას“ გაუმჯობესებაზე ფიქრით იწყებს.



**გვეუბნება: „გფიქრობ, როგორ გავამლიერო „გვირილა“. დაწყება ყოველთვის ძნელია, მარამ ვიცი, რომ არ დავანებებ მუშაობას თავს, ბევრი ცვლილება გვექნება და ყველაფერი გაუმჯობესდება.“**

# ხელნაკეთი ნივთები და ქრისტიანას იმედები **ქრისტიანას ისტორია**



ქრისტიანა სოციალური საწარმო „ჩვენი სივრცის“ ყველაზე ახალი წევრია. ის საწარმოს სამი თვის წინ შემოუერთდა და მის თავს მომხდარ ცვლილებებს უკვე ყველა ამჩნევს - საწარმოში მომუშავე ქალები, ქრისტიანას მეზობლები და თავად ქრისტიანაც კი. ადრე რომ ქუჩებში დაეხეტებოდა და საკუთარ თავში დარწმუნებული არ იყო, ქრისტიანა ახლა თვითგანვითარებაზეც ზრუნავს და იმაზეც ფიქრობს, კიდევ რა გააკეთოს „ჩვენი სივრცისთვის“. ფსიქოლოგიური და განვითარების სიმძლევების გადალახვა ადვილი არ არის, მაგრამ სამუშაო ეხმარება, ფინანსურად დამოუკიდებელი გახდეს და ყოველდღიურ ცხოვრებაში მიზანი იპოვოს.

ქრისტიანა მთელ დღეს სენაკში, „ჩვენი სივრცის“ შენობაში ატარებს. საწარმოს შენობა ბაღში დგას, სიმწვანეში, გარშემო ხელნაკეთი ნივთებია. ქრისტიანაც თავს მშვიდად გრძნობს და ისიც ავიწყდება, თუ უსიამოვნო დილა ჰქონდა. ყოველდღე საწარმოში "ჩვენი სივრცე" ქრისტიანა ხელნაკეთ ნივთებზე მუშაობს, ძირითადად თექვისგან ამზადებს მათ. საქმიანობა ეხმარება, უფრო დადებითად შეხედოს თავის ცხოვრებას.

ქრისტიანას მძიმე ბავშვობა მისთვის სასიამოვნო გასახსენებელი არ არის და ამიტომ ამაზე ბევრს არ ლაპარაკობს. ბავშვობაში მხარდაჭერას ვერავისგან იღებდა, რის გამოც ფსიქოლოგიური პრობლემების გადალახვა უჭირდა. ამიტომაც დიდ დროს ქუჩაში ატარებდა. ეს კი მის გარშემო არავის მოსწონდა - ქრისტიანა ყველასთვის რთული ბავშვი იყო. თვითდაჯერება და მოტივაციაც აკლდა. ახლა ამბობს: „ვერ ვაიძულებდი თავს იმის გაკეთებას, რაც მინდოდა. ჩემი ტვინი მიმლიდა ხელს, მეუბნებოდა: ქრისტიანა, ამას ვერ ისწავლი, ვერ გააკეთებ. ასე მეგონა, ვერაფრის გაკეთებას ვერ შევძლებდი“.





ქრისტიანს ცხოვრება შეიცვალა, როდესაც მეზობელმა უამბო სოციალური საწარმოს შესახებ, რომელიც მის სახლთან ახლოს გაიხსნა. „*მაინტერესებდა და მოვედი, აქ ყველა კარგად დამხვდა*“. როდესაც გადამზადებას დაესწრო, კიდევ უფრო მეტი გაიგო განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანების შესახებ. აქ ისიც შეასწავლეს, როგორ გაეკეთებინა ხელით ნივთები. „*თავიდან ძალიან ვნერვიულობდი, იმიტომ, რომ მანამდე ხელით არაფერი გამიკეთებია, მაგრამ ჩემი მასწავლებელი, მაცაცო, მასწავლიდა ყველაფერს. ახლა უკვე ჩემითაც შემოდოა სწრაფად დავამზადო ნივთები თქვისგან*“. ქრისტიანმა ძალიან მალე შეიყვარა თავისი ახალი სამუშაო და მეგობრები. ახლა მისი ყველა ინტერესი და მომავლის გეგმა „ჩვენ სივრცეს“ უკავშირდება. როგორც თვითონ აღნიშნავს: „*აქ მეგობრები შევიძინე, რომლებიც რჩევებს მაძლევენ. უფრო მონდომებული ვარ და მინდა, რომ მომავალში ყველაფერი ვისწავლო, განსაკუთრებით თქვისგან ყვავილების და სურათების დამზადება*“.

მას შემდეგ, რაც „ჩვენი სივრცის“ ნაწილი გახდა, ქრისტიანს თავდაჯერებულობა მოემატა. ყველა ამჩნევს, როგორ გამოსწორდა, უფრო მეტად უვლის თავს და საყურეების გაკეთებაც კი დაიწყო. ქრისტიანს ახლა უკვე თავის დას აფრთხილებს, რომ ქუჩაში ტყუილად არ იხეტივლოს. ცხოვრებაში დასაყრდენი გაუჩნდა და ახალი დღის მოსვლას სიხარულით ელოდება.

*„როცა მოსაღამოვდება და სახლში მივდივარ, ვოცნებობ, როდის მოვა დილა, რომ ისევ აქ მოვიდე.“*







„ქეას“  
 სოციალური  
 სანარმოები  
 დასავლეთ  
 საქართველოში  
 მცხოვრები  
 განსაკუთრებული  
 საჭიროებების  
 მქონე  
 ქალებისათვის

**„დეკა ქოლგა“**

კოოპერატივი „დეკ-ქოლგა“-ს ხილის საშრობი ხაზი მდებარეობს სოფელ ნოსირში, დასავლეთ საქართველოში. კოოპერატივში ცხრა წევრია გაწევრიანებული, რომელთაგან ოთხი განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ქალია. კოოპერატივი აგრეთვე მარწყვის მწარმოებელია და ის დასაქმების სხვადასხვა შესაძლებლობას სთავაზობს იმ ქალებსაც, რომლებიც არ არიან მისი წევრები. „დეკა ქოლგა“ გეგმავს წარმოების არსებული ხაზების გაფართოებას

**„სოფლის იმედი“**

კოოპერატივი „სოფლის იმედი“, რომელიც სენაკში მდებარეობს 31 წევრს აერთიანებს. მათგან ოთხი ქალი თხილის დაფასოება-შეფუთვის ახალ ხაზზეა მიმავრებული. მათი წილი კოოპერატივში მათთვის სტაბილურ შემოსავალს უზრუნველყოფს, რასაც ემატება თხილის დაფასოება-შეფუთვიდან მიღებული შემოსავალი. დაფასოება-შეფუთვის ხაზი კოოპერატივის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

**„გვირილა“**

სამკერვალო საწარმოა სამტრედიიაში, დასავლეთ საქართველოში, სადაც განსაკუთრებული საჭიროებების მქონე შვიდი ქალია დასაქმებული. საწარმოში სხვადასხვა პროდუქცია იკერება - მაგალითად, უნიფორმები, თეთრეული და სამედიცინო ხალათები. საწარმოს ლიდერი, დარეჯანი, „გვირილას“ ქალებს



ბის სულისჩამდგმელი და მოტივატორია. გარდა ამისა, დარეჯანი განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირების საჭიროებებს ახმოვანებს ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

### „ჩვენი სივრცე“

„ჩვენი სივრცე“ სენაკში მდებარეობს და ხელნაკეთ ნივთებს აწარმოებს: თექის შარფებს და სურათებს, აქსესუარებს და ბიჟუტერიას. ამჟამად საწარმოში 5 წევრია დასაქმებული, მაგრამ დაგეგმილია გაფართოება და ერთი ადამიანის დამატება. ხელნაკეთი ნივთების დამზადება არტ თერაპიას, რომელიც ეხმარება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ქალებს კომუნიკაციაში არსებული დაბრკოლებების გადალახვაში და ერთმანეთთან ურთიერთობაში.

### „აგროკოლხიდა“

დაფნის გადამამუშავებელი საწარმო „აგროკოლხიდა“ მდებარეობს სოფელ ნოსირში, დასავლეთ საქართველოში. საწარმოში 20 ქალია დასაქმებული, აქედან ექვსი განსაკუთრებული საჭიროებებით. საწარმოს ლიდერები - ტატო და გიორგი - ცდილობენ, წამყვანი როლი შეასრულონ რეგიონში თანაბარი შესაძლებლობების დამკვიდრების საქმეში.

### „არტ-სამყარო“

საწარმო „არტ-სამყაროს“, რომელიც სენაკშია დაფუძნებული, 8 წევრი ჰყავს. აქ მზადდება ხელ-

ნაკეთი ნივთები ბამბუკისგან: ტახტები, სავარძლები, კასრები, ლუდის ქილები, საფერფლეები, აქსესუარები სასმელებისთვის და ა.შ.

### „თავთუხი“

საცხოზია, რომელშიც 12 ადამიანია დასაქმებული, აქედან ექვსი - განსაკუთრებული საჭიროებებით. საწარმოს სათავეში უდგას გამოცდილი ქალბატონი. „თავთუხში“ გამომცხვარი პური და ფუნთუშები მთელ სამეგრელოს რეგიონში იყიდება.

### „მეგობრობა“

„მეგობრობა“ არტ-კაფეა აბაშაში, რომელიც სოციალურმა მუშაკმა და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ექვსმა ქალმა დააარსეს. ყველა ვიზიტორს შეუძლია ისარგებლოს უფასო უსადენო ინტერნეტით და სამკითხველო დარბაზით, სადაც მათ ბესტსელერები დახვდებათ. პოეზიის საღამოები და სხვადასხვა სახის ღონისძიებები კომფორტულ გარემოს ქმნის გუნდური მუშაობისთვის და საზოგადოებრივი შეკრებებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის და აბაშის ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის.

**დაგვიკავშირდით:**

**ქაა საერთაშორისო კავკასიაში**

საქართველო, თბილისი 0194,

ცაგარელის ქ. № 37

ტელ: (995 32) 29 13 78; 291941; 291531

geoinfo@care.org

care-caucasus.org.ge

